15. „საახალწლო ღონისძიებისათვის სხვადასხვა სახის საახალწლო მანათობელი კონსტრუქციებისა და აქსესუარების შესყიდვა“ ღონისძიების ფარგლებში ბათუმის ბულვარში დამონტაჟდა სხვადასხვა სახის საახალწლო მანათობელი კონსტრუქციები და განთავსდა სხვადასხვა სახის აქსესუარები, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 128,2 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,3 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი 2019 წელს ახორციელებს სამ პროგრამას: ტურიზმისა და კურორტების სფეროს მართვა და დარგის ეფექტიანი განვითარების ხელშეწყობა, აჭარის ტურისტული მარკეტინგი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე და ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარება.

ტურიზმისა და კურორტების სფეროს მართვა და დარგის ეფექტიანი განვითარების ხელშეწყობის პროგრამა ითვალისწინებს სამ ქვეპროგრამას, რომელთა ფარგლებში ხორციელდება ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მართვის ქვეპროგრამა და ასევე ორი ქვეპროგრამა.

ქვეპროგრამის - დარგის საჭიროებებისა და განვითარების პოტენციალის კვლევა და სტატისტიკის წარმოების საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგინს 83,0 ათას ლარს, შესრულებამ შედგინა 82,9 ათასი ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

1. ადგილობრივი ტურისტული ბაზრის კვლევა, 2018 წელს გაფორმებული მრავალწლიანი ხელშეკრულების ფარგლებში შპს „ბათუმის ბიზნეს აკადემიამ“, უზრუნველყო კვლევის მესამე და მეოთხე ეტაპის მასალების მოწოდება, რაზეც გაწეულია 12,5 ათასი ლარი. ადგილობრივი ტურისტული ბაზრის 2018 წლის კვლევა დასრულდა. ხოლო მიმდინარე წელს გამოცხადებული ტენდერის თანახმად ადგილობრივი ტურისტული ბაზრის კვლევას უზრუნველყოფს შპს „ბი-სი-ჯი“, რომელმაც უზრუნველყო კვლევის პირველი ეტაპის მასალების მოწოდება, რაზეც გაწეულია 25,8 ათასი ლარი, ამჟამად მიმდინარეობს კვლევის მეორე და მესამე ეტაპები.
2. უცხოელ ვიზიტორთა ბაზრის კვლევა, 2018 წელს გაფორმებული მრავალწლიანი ხელშეკრულების ფარგლებში შპს „ბათუმის ბიზნეს აკადემია“-მ უზრუნველყო კვლევის მეოთხე ეტაპის მასალების მოწოდება, რაზეც გაწეულია 13,7 ათასი ლარი. ხოლო მიმდინარე წელს გამოცხადებული ტენდერის თანახმად უცხოელ ვიზიტორთა ბაზრის კვლევას უზრუნველყოფს შპს „ბათუმის ბიზნეს აკადემია“, რომელმაც უზრუნველყო კვლევის ორივე ეტაპის მასალების მოწოდება, რაზეც გაწეულია 30,9 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

ქვეპროგრამის - დეპარტამენტის ორგანიზაციული განვითარების საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 120,0 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 102,7 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში მომზადდა ორი თხუთმეტსიუჟეტიანი ვიდეო რგოლი, რომელიც ასახავს ბათუმისა და აჭარის ტურისტულ პროდუქტებს ლოკაციების მიხედვით.

დეპარტამენტის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგების ფარგლებში გადამზადების კურსი გაიარა დეპარტამენტის 8 თანამშრომელმა.

ქვეპროგრამის შესრულების დაბალი პროცენტული მაჩვენებელი გამოწვეულია ღონისძიების დეპარტამენტის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგები ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვების შედეგად წარმოშობილი ეკონომიკის გამო.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 85,6 %

აჭარის ტურისტული მარკეტინგი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე პროგრამა ითვალისწინებს ორ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - რეგიონის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის მარკეტინგი საერთაშორისო ბაზრებზე საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 5 183,5 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 4 810,1 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

აჭარის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული იქნა 38 სარეკლამო საინფორმაციო ტური, რომლის ფარგლებშიც აჭარას ესტუმრა გიდების ასოციაციის მსოფლიო ფედერაციის მე-18 კონგრესის მონაწილეები, 147 მედიისა და 318 ტურისტული კომპანიის წარმომადგენელი.

დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო 27 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში, კერძოდ:

1. „Vakantie Beus“ - უტრეხტი, ჰოლანდია.
2. „FITUR“ - მადრიდი, ესპანეთი.
3. „ADVENTUR 2019“ - ვილნიუსი, ლიეტუვა.
4. „EMITT“ - სტამბოლი, თურქეთი.
5. „BAL Tour“ - რიგა, ლატვია.
6. „IMTM“ - თელავივი, ისრაელი.
7. „TOUREST“ - ტალინი, ესტონეთი.
8. „MTT Wroclaw“ - ვროცლავი, პოლონეთი.

9. „ITB 2019“ - ბერლინი, გერმანია.
10. „UITT“ - ვიევი, უკრაინა.
11. „Globalnie“ - პოლონეთი, კატოვიცე.
12. „AITF“ - აზერბაიჯანი, ბაქო.
13. „LEISURE“ - ბელარუსი, მინსკი.
14. „COTTM“ - ჩინეთი, პეკინი.
15. „KITF“ - ყაზახეთი, ალმაათი.
16. „ATM“ - არაბთა გერთიანებული საამიროები, დუბაი.
17. „CTF“ - საქართველო, თბილისი.
18. „EXPO Batumi“ - საქართველო, ბათუმი.
19. „IMEX“ - გერმანია, ფრანკფურტი.
20. „TOP RESA“ - პარიზი, საფრანგეთი.
21. „TTG“ - რიმინი, იტალია.
22. „TOUR EXPO“ - ლვოვი უკრაინა.
23. „JATA“ - ოსაკა, იაპონია.
24. „ski and snowboard“ - ლონდონი ინგლისი
25. „WTM“ - ლონდონი ინგლისი.
26. „IBTM“ - ბარსელონა, ესპანეთი,
27. „TT WARSAW“ - ვარშავა, პოლონეთი.

აჭარის ტურისტული პოტენციალის შესახებ სარეკლამო-საინფორმაციო სტატიები განთავსდა ისეთ საერთაშორისო ავიაკომპანიების საბორტო ჟურნალებში, როგორიცაა ვიზეარი, ბელავია, უკრაინის ავიახაზები, სკატ ერლაინსისა და თურქეთის ავიახაზები. აჭარის სარეკლამო ვიდეო-რგოლი და სპეციალური სიუჟეტები გავიდა საერთაშორისო ტელეარხებზე: Euronews, BBC, Deutsche Welle, National Geographic, Travel Channel, DMX (UK), LNK.

საერთაშორისო ტელეკომპანია ევრონიუსმა ზაფხულის ფესტივალის შესახებ გადაღებული სატელევიზიო სიუჟეტი „ფოკუსი“ უჩვენა ევრონიუსის ეთერში და განათავსა ევრონიუსის ოფიციალურ ვებგვერდზე; ასევე ბათუმის საერთაშორისო კონფერენციის შესახებ მომზადებული ნიუსი აჩვენა ეთერში.

აჭარის თემატიკის რეკლამით დაიბრენდა ავიაკომპანია WIZZ AIR - ს ჩასხდომის ბარათები იმ ავიარეისებისათვის, რომელთა გამგზავრების პუნქტი ან დანიშნულების მიმართულება იყო დეპარტამენტის შემდეგი სამიზნე ქვეყნები: ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა, გერმანია, პოლონეთი, უკრაინა და დიდი ბრიტანეთი. აჭარის ტურისტული პოტენციალის შესახებ სარეკლამო-საინფორმაციო სტატია განთავსდა ისეთ ბეჭდვით გამოცემებში, როგორიცაა „Birdwatch“, „Where.Ge“, „Travel Poland“, „Gault And Millau“.

გარე რეკლამა განხორციელდა 8 ქვეყანაში:

1. ლატვია (რიგა);
2. ლიეტუვა (ვილნიუსი);
3. ესტონეთი (ტალინი);
4. ყაზახეთი (ასტანა);
5. პოლონეთი (ვრაკოვი, ვროცლავი);
6. სომხეთი (ეրევანი);
7. უკრაინა (კიევი);
8. ბელარუსი (მინსკი).

აჭარის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით ჩატარდა სარეკლამო კამპანია მსოფლიოში ყველაზე პოპულარული სოციალური მედია არხების მეშვეობით (Facebook, Instagram, Youtube) შემდეგ სამიზნე ქვეყნებში: უკრაინა, ბელორუსია, სომხეთი, პოლონეთი, ყაზახეთი, ისრაელი.

რეგიონის საიმიჯო კამპანია განხორციელდა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ტურისტულ პორტალზე Expedia.com. აღნიშნულ პორტალზე სარეკლამო კამპანია ჩატარდა გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის აუდიტორიისათვის.

დეპარტამენტის სამიზნე ქვეყნებისათვის შეიქმნა სოციალური მედია კონტენტი (ტექსტობრივი ფოტო და ვიდეო მასალა) და განთავსდა დეპარტამენტის Visit Batumi-ის ანგარიშზე Facebook-სა და Instagram-ზე.

ქვეპროგრამის ფარგლებში შეძენილია სხვადასხვა დასახელების ბრენდირებული სარეკლამო საპრომოციო მასალა, კერძოდ: საწერი კალმები, საწვიმარი ლაბადები, კეპები და ფეხსაცმლის დამცავები, ნაჭრის ჩანთები, ჭიქები და ჭიქის დასადგმელები, ლამბაქები, სამაჯურები, ბლოკნოტები, მარაოები, მაგიდის კალენდრები. ასევე დამზადებულია სხვადასხვა სარეკლამო-საინფორმაციო მასალები, კერძოდ: მარშრუტების რუკები, ასევე ბათუმის გზამკვლევი, მთიანი აჭარის გზამკვლევი, ზღვის და მთის კურორტების გზამკვლევი ქართულ-ინგლისურ და ქართულ-რუსულ ენებზე, ასევე სარეკლამო-საგამოფენო ბროშურა აჭარა ბათუმი ინგლისურ და რუსულ ენებზე.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 92,8 %

ქვეპროგრამის - რეგიონის ტურისტული პოტენციალის რეკლამირება ქვეყნის შიგნით საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 537,5 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 523,8 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

შიდა ტურიზმის წახალისების მიზნით განხორციელდა გარე სარეკლამო კამპანია საქართველოს მასშტაბით, კერძოდ, განთავსდა 9 ბილბორდი თბილისში, ასევე დაიბრენდა 5 ავტობუსის მოსაცდელები თბილისში;

აჭარის სარეკლამო ვიდეო-რგოლი გავიდა საქართველოს კინო-თეატრების (კავეა გალერეა თბილისი, თბილისი მოლი, ისთ ფოინთი, ამირანი, აპოლო) დარბაზებში;

აჭარის სარეკლამო აუდიო რგოლი გავიდა საქართველოს 5 რადიოსადგურში, კერძოდ: რადიოჰოლდინგი ფორტუნა (ფორტუნა, ფორტუნა+, არ დაიდარდო, ავტორადიო), რადიო „პალიტრა“, რადიო „იმედი“, რადიო „აფხაზეთის ხმა“ და რადიო „დარდიმანდი“;

აჭარის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით განხორციელდა 9 შიდა სარეკლამო ტური ქართველი უურნალისტებისა და ბლოგერისათვის: სულ რეგიონს ეწვია 44 უურნალისტი და 4 ბლოგერი, რომლის შემდეგაც მომზადდა 22 სატელევიზიო სიუჟეტი, 1 პირდაპირი ჩართვა, 6 სტატია და 4 პოსტი.

დეპარტამენტი თანამშრომლობს სარეკლამო სააგენტოსთან „ახალი ამბები“, რომელიც უზრუნველყოფს დეპარტამენტის სიახლეებისა და მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელებას, რომელზეც განთავსდა 50 სტატია.

ასევე დეპარტამენტი თანამშრომლობს აჭარის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით ინტერნეტ გამოცემასთან „ბათუმელები“, რომლის ფარგლებშიც აჭარის ტურისტული პოტენციალის შესახებ მომზადდა 17 სტატია;

თბილისში რიყის საბაგიროს გონდოლები დაიბრუნდა აჭარის თემატიკით.

თბილისში შარდენის ქუჩა დაიბრუნდა აჭარის სარეკლამო დროშებით.

განხორციელდა კამპანია „#აირჩიებათუმი“, „#აირჩიესაქართველო“, რომლის ფარგლებშიც მომზადდა 11 ვიდეო რგოლი ცნობილი ქართველების მონაწილეობით.

აჭარის ტურისტული პოტენციალის შესახებ სარეკლამო-საინფორმაციო სტატია განთავსდა საქართველოს რკინიგზის საბორტო უურნალში „გზაში საკითხავი“. შიდა ტურიზმის სტიმულირების მიმართულებით ჩატარდა სოციალური მედია კამპანია Facebook-სა და Instagram-ზე. კამპანიის მსვლელობისას რეკლამაში ჩაეშვა რეგიონის ტურისტული ლოკაციებისათვის გადაღებული საიმიჯო ვიდეო რგოლები. რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით, რეკლამაში ჩაეშვა ვიდეო პრე-როლი ყველაზე პოპულარულ ქართულ ვიდეო ვებპორტალზე Myvideo.ge. და საბანერე რეკლამა და ვიდეო პრე-როლი, ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ქართულ ვებ-პორტალზე Net.adjara.com. ტურიზმის სფეროში რეგიონში არსებული სიახლეებისა და დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ღონისძიებების და აქტივობების შესახებ ინფორმაცია განთავსდა ამერიკული საერთაშორისო უურნალის „Entrepreneur“-ის ქართულეოვან ვებ-გვერდზე Entrepreneur.com/ge.

შეძენილია სხვადასხვა დასახელების ბრენდირებული სარეკლამო საპრომოციო მასალა, კეძოდ: საწერი კალმები, საწვიმარი ლაბადები, კეპები, ფეხსაცმლის დამცავები, სარეკლამო სტიკერები, წელის ჩანთები, ჭიქები და ჭიქის დასადგმელები, ლამბაქები, სამაჯურები, ბლოკნოტები, მარაოები, მაგიდის კალენდრები, ასევე შეძენილია სხვადასხვა დასახელების სარეკლამო-საინფორმაციო მასალები, კერძოდ: ბათუმის გზამკვლევი, მთიანი აჭარის გზამკვლევი, ზღვის და მთის კურორტების გზამკვლევი ქართულ-ინგლისურ და ქართულ-რუსულ ენებზე.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,5 %

ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარების პროგრამა ითვალისწინებს ოთხ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის-სრულყოფილი ინფორმაციითა და ხარისხიანი მომსახურებით ტურისტების უზრუნველყოფის საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 773,3 ათას ლარს, ხოლო ფაქტიური დაფინანსება – 750,2 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ქვეპროგრამა ძირითადად მოიცავს ა(ა)იპ „ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს“ შენახვისა და საინფორმაციო ცენტრების ფუნქციონირების ხარჯებს, ასევე საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა თანამშრომლობა ევროპის სოფლად ტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (Eurogites). გადამზადდა და ჩაუტარდა ტრენინგი ტურისტული საინფორმაციო ცენტრის 30 თანამშრომელს. დასრულდა 8 ტურისტული საინფორმაციო ცენტრის მოდერნიზება-განახლება. დასრულდა საინფორმაციო ცენტრების თანამშრომლების მიერ განხორციელებული მომსახურების მუდმივი მონიტორინგი, ხარისხის კვლევა „იდუმალი სტუმრის“ მეთოდოლოგიის გამოყენებით.

ასევე ვალონია-ბელგიის ტურიზმის კომისარიატის მიწვევით სააგენტო მიწვეული იყო ვალონიის რეგიონში სოფლის, ეკო, სათავგადასავლო ტურიზმის და ტურისტული ადგილების მონახულებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, ამასთან სააგენტო წარმოდგენილი იყო სოფლის ტურიზმის ევროპული ფედერაციის (ეუროჟიტების) გენერალური ასამბლეის შეხვედრაზე, რომელიც ჩატარდა ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში, მასია ოლივეირას რეგიონში. შეხვედრაზე მიმოიხილეს და წარმოადგინეს გენერალური ასამბლეის 2018-2019 წლების ანგარიშები. განხილული იქნა 2019-2020 წლების გენერალური ასამბლეის სამოქმედო გეგმა და 2020 წლის ევროპული კონგრესის ჩატარების ადგილი.

ღონისძიების სამთო, ეკო და სოფლის ტურიზმის თემატიკის საერთაშორისო გამოფენებში, კონფერენციებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის ფარგლებში სააგენტო წარმოდგენილი იყო დიდ ბრიტანეთში (ოუკემში) საერთაშორისო მნიშვნელობის ფრინველების დაკვირვების გამოფენაზე საკუთარი სტენდით. გამოფენის მიზანი იყო საერთაშორისო კონსერვაციის პროექტების მხარდაჭერა. ასევე სააგენტო წარმოდგენილი იყო პოლონეთში (კიელცი) სოფლის ტურიზმის მე-11 საერთაშორისო გამოფენაზე სახელწოდებით „აგრო ტურიზმი და აქტიური ცხოვრება“.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,0 %.

ქვეპროგრამის - ადამიანური რესურსების განვითარება და ტურიზმის შესახებ ცნობიერების ამაღლება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 245,6 ათას ლარს, ხოლო ფაქტიური დაფინანსება 190,8 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ღონისძიების ტურიზმის დარგში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე მიზანმიმართული სატრენინგო ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების ფარგლებში გადამზადების კურსი გაიარა 549-მა ადამიანმა: ინგლისური ენის მოკლევადიანი კურსები ჩაუტარდათ სოფელ დანისპარაულის, კურორტ გოდერძის, სოფელ სახალვაშოს, მაჭახლის ხეობის სოფლების არსებული განთავსებისა და კვების ობიექტების 120 წარმომადგენელს

ტრენინგები ჩატარდა სოფლების: დანისპარაულის, ბოძაურის, კურორტ გოდერძის, დაბა ხულოს არსებული განთავსებისა და კვების ობიექტების 40 მზარეულს.

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დანისპარაულსა და კურორტ გოდერძზე არსებული გესთ ჰაუსების 40 წარმომადგენლისათვის, ასევე ქალაქ ქობულეთსა და მწვანე კონცხის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული განთავსების (მცირე ზომის სასტუმროებისა და სასტუმრო სახლების) ობიექტების 40 წარმომადგენლისათვის ჩატარდა სასტუმრო სახლების მართვის კურსი.

ამასთან გადამზადდა 178 ტურისტული გიდი, კერძოდ: 21 გიდმა გაიარა აჭარის დაცული ტერიტორიების გიდის ტრენინგი, 36-მა ქალაქ ბათუმის საფეხმავლო ტურის, მაჭახლის ხეობისა და ქედის ღვინის მარშრუტების გიდის ტრენინგი, 121-მა გიდმა გაიარა ტრენინგი სხვადასხვა თემატიკით, კერძოდ: „ბათუმი და პიროვნება:“, „ქალაქის ცნობილი შენობები და მათი ისტორიები“, „ბათუმური ეზოები, აივნები და კარები“, „ბათუმი კინოში“, „ქართული მითოლოგია“, „ქართული ქორეოგრაფია“, „საქართველოს ეკონომიკა“, „გასტრონომიული გიდის მოკლევადიანი ტრენინგი“.

ტურისტული სააგენტოს მართვა-ფუნქციონირების კურსი გაიარა სმენის არ მქონე და სმენადაქვეითებულმა 10-მა პირმა.

საქართველოში ცნობილი, პოპულარული და გამოცდილი სპიკერების მამოტივირებელი ე.წ. ნეთვორქებინგისა და სფოთლააითის ტიპის ტრენინგები ჩატარდა აჭარის რეგიონის ტურისტული სააგენტოების, განთავსებისა და კვების ობიექტების წარმომადგენლებისა და გიდებისათვის მენეჯმენტის, კომუნიკაციების, სერვისის, კულინარიის, მარკეტინგისა და ბრენდინგის სფეროში - სულ ტრენინგების მთელი ციკლი გაიარა 121-მა პირმა.

განხორციელდა 200 ტურისტული ობიექტის კვლევა, რომლის მიზანი იყო აჭარის რეგიონის ფარგლებში არსებული 120 განთავსების და 80 კვების ობიექტში მომსახურების ხარისხის კვლევა იდუმალი სტუმრის მეთოდოლოგით.

ქვეპროგრამის შესრულების დაბალი პროცენტული მაჩვენებელი გამოწვეულია სახელმწიფო შესყიდვების შედეგად წარმოშობილი ეკონომიკით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 77,7 %

ქვეპროგრამის - ტურიზმის დარგში მომსახურების საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობა საანგარიშგებო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 49,8 ათას ლარს, ხოლო დაფინანსება - 46,8 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

2019 წლის ბოლოს განხორციელდა ყოველწლიური ღონისძიება „მაგნოლია 2019“ - რომლის ფარგლებშიც დაჯილდოვდნენ ტურიზმის ინდუსტრიაში წლის საუკეთესო ტურისტული სერვისების მიმწოდებელი ობიექტები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 94,0 %

ქვეპროგრამის - ტურისტული პროდუქტების განვითარება და დივერსიფიკაცია საანგარიშგებო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 130,4 ათას ლარს, ხოლო დაფინანსება - 1 110,2 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ა(ა)იპ „ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს“ მიერ განხორციელდა 8 საინფორმაციო გაცნობითი ტური:

1. სამთო-სათხილამურო კურორტ „გომარდული“-ზე კურორტის პოპულარიზაციის მიზნით ადგილობრივი გიდები და ტურისტული სააგენტოების წარმომადგენლები გაეცნენ კურორტის ტურისტულ შესასმლებლობებს, არსებულ ინფრასტრუქტურას, მოხდა კოტეჯებისა და საოჯახო სასტუმრო სახლების დათვალიერება.

2. თაგო-სხალთის საფეხმავლო მარშრუტზე, სადაც ტურისტული სააგენტოების წამომადგენლები და გიდები გაეცნენ საფეხმავლო ბილიკებს, საოჯახო სასტუმრო სახლებს და კულტურულ ობიექტებს;

3. კურორტ ბეშუმის ტურისტული სეზონის გახსნის ღონისძიებასთან დაკავშირებით გიდები და ტურისტული სააგენტოები დაესწრნენ კურორტ ბეშუმის სეზონის გახსნის ღონისძიებას. ღონისძიების ფარგლებში მოხდა ხალხური რეწვის ნიმუშების, ხელნაკეთი ნივთების, სამუზეუმო ექსპონატებისა და მხატვრების ნამუშევრების გამოფენა. ასევე ადგილობრივი კერძების და პროდუქტების გამოფენა-გაყიდვა. კულტურულ ღონისძიებაზე ასევე მოწვეული იყო ფოლკლორული, ქორეოგრაფიული და ვოკალური ანსამბლები;

4. სხალთა-ხიხანის ხეობასა და გოდერძის ალპურ მარშრუტზე ინფო ტურის ფარგლებში გიდები და ტურისტული სააგენტოს წამომადგენლები გაეცნენ სხალთა-ხიხანის ხეობაში არსებულ ისტორიულ-კულტურულ ღირსშესანიშნაობებს, დაათვალიერეს შერიფ ხიმშიაშვილის მუზეუმი, სხალთის მონასტერი, ხიხანის ციხე, გოდერძის უღელტეხილი, ალპური ბოტანიკური ბაღი, კურორტი ბეშუმი და მწვანე ტბა;

5. შუახევის მუნიციპალიტეტში ჯვარიმინდორობის სახალხო დღესასწაულთან დაკავშირებით, ინფო ტურის ფარგლებში სტუმრებმა მოინახულეს ჭვანის ხეობა, ოთოლთას ციხე, ხაბელაშვილების ხიდი, ჩანჩქერი, წისქვილების სოფელი და ასევე მთა თაგინაური;

6. ჩაისუბნისა და სახალვაშოს ფრინველებზე დაკვირვების ადგილების მონახულების და ფრინველებზე დაკვირვების ტურიზმის შესახებ ინფორმაციის გასაცნობად;

7. ქედისა და შუახევის მუნიციპალიტეტებში ახლად გახსნილი საოჯახო სახლებისა და ღვინის მარნების გასაცნობად;

8. სამთო-სათხილამური კურორტი გოდერძშე. კურორტი გოდერძის 2020 წლის ზამთრის სეზონის გახსნის ღონისძებაზე დასასწრებად.

ტურისტულ ობიექტებში საინფორმაციო სტენდების დამზადება - განთავსების ფარგლებში სააგენტომ დამატებით შეიძინა 20 სტენდი, რომლებიც განთავსდა ტურისტულ ობიექტებში.

ჩატარდა ზაფხულის ფესტივალი, რომლითაც რეგიონში გაიხსნა საზღვაო ტურისტული სეზონი. ორგანიზება გაეწია ქობულეთის ზაფხულის ფესტივალის ღონისძებას. განხორციელდა ბათუმის ქუჩებში განათებული ორმხრივი რუკების (ლაიტბოქსების) განთავსება. სააგენტოს ორგანიზებით სექტემბრის თვეში ჩატარდა გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვების მე-8 საერთაშორისო ფესტივალი. ჩატარდა სოფლის ტურიზმის საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 5 ქვეყნის 150 დელეგატზე მეტმა სოფლის ტურიზმის ექსპერტმა და სფეროს წარმომადგენელმა. ეკო და სოფლად ტურისტული პროდუქტების განვითარების ღონისძების ფარგლებში მიღებულია გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვების შესახებ ბროშურები. ჩატარდა სოფლის ტურიზმის ფესტივალი „განდაგანა“ და ორგანიზება გაეწია ზამთრის ფესტივალს სამ ლოკაციაზე (ბათუმი, ქობულეთი, კურორტი გოდერძი). ჩირუხის მთაში (შუახევის მუნიციპალიტეტი) ტურისტული პროდუქტისა და ინფრასტრუქტურული პროექტის შექმნის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, გამარჯვებული გამოვლინდა და გაფორმდა მასთან ხელშეკრულება. პროექტის მიღების ვადაა 2020 წლის 1 ოქტომბერი.

ეკო და სოფლად ტურისტული პროდუქტების განვითარების ღონისძების ფარგლებში ნიშნულები დამონტაჟებულია მაღალმთიან აჭარაში. ასევე განხორციელდა მარკირების პროექტის მომზადება ხულოსა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა მარშრუტების განვითარების მიზნით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,2 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და კონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ცვლილების შემდგომ (2019 წლის ივნისი) საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტიდან სამელიორაციო საქმიანობის განხორციელების ფუნქცია გადაეცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, შესაბამისად რეორგანიზაციის თანახმად ჩამოყალიბდა საავტომობილო გზების დეპარტამენტი) 2019 წელს ახორციელებს ორ პროგრამას: საავტომობილო გზების მართვა, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ოთხ ქვეპროგრამას:

ქვეპროგრამის - გზების რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 30 427,6 ათას ლარს, საკასო შესრულება 30 389,9 ათას ლარს, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში დასრულდა 31 გზაზე ასფალტობეტონის საფარის მოწყობა საერთო სიგრძით 46,97 კმ, ხოლო ერთი გზის ასფალტეტონის საფარით მოწყობა 0,7 კმ შესრულდა ნაწილობრივ.

საანგარიშო პერიოდში დასრულდა 4 გზის რეაბილიტაცია საერთო სიგრძით 5,65 კმ, ხოლო ერთი გზის რეაბილიტაცია 0,9 კმ შესრულდა ნაწილობრივ.

5 გზის სფალტობეტონის საფარის მოწყობის სამუშაოებზე გაფორმდა მრავალწლიანი ხელშეკრულება და დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

ქვეპროგრამის - ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 8 287,3 ათას ლარს, შესრულება - 8 198,7 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში დასრულდა 19 ახალი ხიდის მშენებლობა და 4 არსებული ხიდის რეაბილიტაცია.

საანგარიშო პერიოდში დასრულდა 224 საყრდენი კედლის მშენებლობა-მოწყობა და 54 დამცავი ნაგებობის და წყალარინების მოწყობა.

1 საყრდენი კედლის მშენებლობა-მოწყობა და 1 დამცავი ნაგებობის და წყალარინების მოწყობა განხორციელდა ნაწილობრივ.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,9 %

ქვეპროგრამის - საგზაო ტექნიკის შეძენა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 657,6 ათას ლარს, შესრულება - 657,6 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში შეძენილია ერთი ერთეული თვითმცლელი და ორი ერთეული მტვირთავ-ექსკავატორი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

ქვეპროგრამის - საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 15 215,5 ათას ლარს, საკასო შესრულება 14 860,2 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

შეძენილია ავტომობილებისა და საგზაო ტექნიკის მიმდინარე რემონტის სათადარიგო ნაწილები, მცირეფასიანი ინსტრუმენტები და ხელსაწყოები;

განხორციელებულია გზების წმენდა ჩამონაშალებისაგან და თოვლის საფარისაგან, ასევე დაიხრეშა და მოშანდაგდა საავტომობილო გზები;

შეძენილია საწვავ-საპოხი მასალები;

განხორციელებულია ასფალტობეტონის საფარის ორმული შეკეთება.

საავტომობილო გზებზე დადგმულია საგზაო-საინფორმაციო ნიშნები;

გაცემულია საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ღონისძიებაზე აყვანილი მოსამსახურეების შრომის ანაზღაურება;

დეპარტამენტის საჭიროებიდან გამომდინარე დაქირავებული ტექნიკით შესრულებული იქნა სამუშაოები;

შეძენილია მონოლითური ბეტონი და სხვა სამშენებლო მასალები;

შესრულებულია ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოები;

შესყიდულია ლითონისა და პლასტმასის მილები;

შესყიდულია ხუთი მაღალი გამავლობის ავტომობილები;

შესყიდულია საგზაო ნიშნების დამზადებისათვის საჭირო მასალები;

განხორციელდა ავტოტრანსპორტის დაზღვევა;

განხორციელებულია ავტომანქანების თანამგზავრული თვალთვალის მომსახურება;

განხორციელდა ღონისძიებების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა;

განხორციელებულია მუნიციპალიტეტებში არსებული ოფისების, დამხმარე შენობების და სამეურნეო ეზოების კეთილმოწყობა;

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,7 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო 2019 წელს განათლების მიმართულებით ახორციელებს ხუთ პროგრამას: საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა, განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა, განათლების ხარისხის გაუმჯობესება, აჭარაში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, საჯარო სკოლების საპანსიონო მომსახურების, გაძლიერებული (უცხო ენები და ფიზიკა-მათემატიკა) და ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა.

პროგრამა - საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა მოიცავს ორ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 7 725,3 ათას ლარს, საკასო ხარჯი 7 543,0 ათას ლარს.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობს ათი საჯარო სკოლის მშენებლობა, სულ გაწეულია 4 552,1 ათასი ლარი:

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ განახლების საჯარო სკოლის მშენებლობა (2019-2021 წწ) - სამუშაოები განახორციელა შპს „ბილდ მენეჯმენტმა“, რომელიც დაფინანსებულია 575,9 ათასი ლარით. განხორციელდა ძველი შენობის დემონტაჟი, დასრულებულია ახალი შენობის კონსტრუქციული მოწყობითი სამუშაოები.

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბეღლეთის საჯარო სკოლის მშენებლობა (2019-2021 წწ) - სამუშაოები განახორციელა შპს „ამხანაგობა ბალავარი ჯგუფმა“, რომელიც დაფინანსებულია 366,7 ათასი ლარით. განხორციელდა ძველი შენობის დემონტაჟი, დასრულებულია ახალი შენობის საძირკველის მოწყობითი სამუშაოები.

დაბა შუახევის საჯარო საჯარო სკოლის მშენებლობა (2019-2021 წწ) - სამუშაოები განახორციელა შპს „ნიკამ“, რომელიც დაფინანსებულია 223,9 ათასი ლარით. განხორციელდა ძველი შენობის დემონტაჟი და ახალი შენობის სამუშაოების ძირითადი ნაწილი.

დაბა ქედის საჯარო სკოლის ძირითადი კორპუსის ნაწ/რეაბილიტაცია და სპორტული დარბაზის მშენებლობა (2019-2021 წწ) - სამუშაოები განახორციელა შპს „ნევ სტაილ ბილდინგმა“, რომელიც დაფინანსებულია 213,8 ათასი ლარით. განხორციელდა სკოლის ძირითადი შენობის სახურავის, ფასადის და ეზოს სარეაბილიტაციო სამუშაოები, დასრულებულია სპორტული დარბაზის საძირკვლის სამუშაოების ძირითადი ნაწილი.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის მშენებლობა (2019-2021 წწ) - სამუშაოები განახორციელა შპს „ვექტორმა“, რომელიც დაფინანსებულია 664,8 ათასი ლარით. განხორციელდა ძველი შენობის დემონტაჟი, დასრულებულია საძირკვლისა და შენობის კონსტრუქციული სამუშაოები, დასრულებულია შენობის გადახურვა.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერის საჯარო სკოლის მშენებლობა (2019-2021 წწ) - სამუშაოები განახორციელა შპს „მტმ“-მა, რომელიც დაფინანსებულია 884,6 ათასი ლარით. განხორციელდა ძველი შენობის დემონტაჟი, დასრულებულია ახალი შენობის საძირკველის მოწყობითი სამუშაოები და პირველი სართულის მშენებლობა.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მახოს საჯარო სკოლის სპორტული და სააქტო დარბაზის მშენებლობა (2019-2021 წწ) - სამუშაოები განახორციელა შპს „ნიკამ“, რომელიც დაფინანსებულია 186,0 ათასი ლარით. დასრულებულია სპორტული და სააქტო დარბაზის საძირკვლის მოწყობითი სამუშაოები და საყრდენი კედლის მშენებლობა.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ოჩხამურის საჯარო სკოლის დაწყებითი კორპუსის მშენებლობა (2019-2020 წწ) - სამუშაოები განახორციელა შპს „მარდიმ“,

რომელიც დაფინანსებულია 132,3 ათასი ლარით. დასრულებულია დაწყებითი კორპუსის ძველი შენობის დემონტაჟი და ახალი კორპუსის საძირკვლის სამუშაოები.

ბათუმის N6 საჯარო სკოლის არსებული კორპუსის ნაწ/რეაბილიტაცია და მეორე კორპუსის მშენებლობა (2019-2021 წწ) - სამუშაოები განახორციელა შპს „ალიგატორმა“, რომელიც დაფინანსებულია 352,3 ათასი ლარით. განხორციელდა ტერიტორიის შემოღობვა, დასრულებულია ახალი შენობის საძირკვლის მოწყობითი სამუშაოები.

ბათუმის N23 საჯარო სკოლის მშენებლობა (2019-2021 წწ) - სამუშაოები განახორციელა შპს „ალიგატორმა“, რომელიც დაფინანსებულია 951,8 ათასი ლარით. დასრულებულია საძირკვლის მოწყობითი სამუშაოები და აშენებულია სამი სართული.

მიმდინარე პერიოდში დასრულებულია 19 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები და მიმდინარეობს 1 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, რაზეც გაწეულია ხარჯი - 2 437,1 ათასი ლარი.

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ვაშლოვანის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „ევრო+“- მა, ხარჯი გაწეულია 22,7 ათასი ლარი. დასრულებულია სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭარნალის საჯარო სკოლის საბაზო კორპუსის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „ერთობამ“, ხარჯი გაწეულია 22,4 ათასი ლარი. დასრულებულია სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახოს საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „ნიკამ“, ხარჯი გაწეულია 36,4 ათასი ლარი. დასრულებულია საქვაბის მშენებლობა და ეზოს კეთილმოწყობა.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალშენის N1 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „ალსოფმა“, ხარჯი გაწეულია 223,5 ათასი ლარი. დასრულებულია სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წინსვლის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „ამრ“-მა, ხარჯი გაწეულია 29,3 ათასი ლარი. დასრულებულია შენობის სახურავის რეაბილიტაცია.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა ამხანაგობა „ერთობამ“, ხარჯი გაწეულია 21,0 ათასი ლარი. დასრულებულია გათბობის სისტემისა და სველი წერტილების რეაბილიტაცია.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბობოყვათის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „ხარისხმა“, ხარჯი გაწეულია 485,3 ათასი ლარი. დასრულებულია სპორტული დარბაზისა და სააქტო დარბაზის რეაბილიტაცია.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „მარდმა“, ხარჯი გაწეულია 172,1 ათასი ლარი.

დასრულებულია შენობის სახურავისა და ფასადის რეაბილიტაცია. კეთილმოწყობილია სკოლის ეზო.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „მშენებელი 2017“- მა, ხარჯი გაწეულია 178,7 ათასი ლარი. დასრულებულია სპორტული დარბაზისა და შენობის ფასადის რეაბილიტაცია.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალას საჯარო სკოლის რეაბილიტაცია-სამუშაოები განახორციელა შპს „მშენებელი 777-7“-მა, ხარჯი გაწეულია 259,3 ათასი ლარი. დასრულებულია შენობის სრული რეაბილიტაცია და გათბობის სისტემის მოწყობა.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა აჭყვას საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „ხარისხმა“, ხარჯი გაწეულია 19,2 ათასი ლარი, დასრულებულია სახურავზე თოვლდამჭერის მოწყობა, შენობის ფასადისა და ღობის სამუშაოები. საბოლოო მიღება-ჩაბარება არ არის გაფორმებული.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს N1 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „ბაკუმ“, ხარჯი გაწეულია 25,0 ათასი ლარი. დასრულებულია გათბობის სისტემის, სპორტული დარბაზისა და ღია მოედნის მოწყობითი სამუშაოები.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაქვის N1 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „ხარისხმა“, ხარჯი გაწეულია 130,1 ათასი ლარი, დასრულებულია შენობის ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები და სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია.

ქობულეთის N6 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „ალიგატორმა“, ხარჯი გაწეულია 386,0 ათასი ლარი. დასრულებულია პირველი სართულის რეაბილიტაცია, ფასადისა და ღია სპორტული მოედნის მოწყობითი სამუშაოები.

ბათუმის N11 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „ბაკუმ“, ხარჯი გაწეულია 22,4 ათასი ლარი, დასრულებულია ღობის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სსიპ ბათუმის N1 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „ელიტელმა“, შპს „ამრ“-მა და შპს „ენერგო პრო ჯორჯიამ“, ხარჯი გაწეულია 79,7 ათასი ლარი. განხორციელდა ელექტრო სამუშაოების შესყიდვა, კედლის კონდენცირება და ელექტრო სიმძლავრის გაზრდა, დასრულებულია კორპუსებს შორის გადასასვლელი.

ბათუმის N26 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „ბეგურიმ“, ხარჯი გაწეულია 84,1 ათასი ლარი. დასრულებულია შენობის შიდა ნაწილობრივი რეაბილიტაცია (საკლასო ოთახები, დერეფანი, სველი წერტილები).

ბათუმის N27 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „მშენებელთა ჯგუფმა“, ხარჯი გაწეულია 95,7 ათასი ლარი, დასრულებულია საქვების მშენებლობა და ღობის მონტაჟი. საბოლოო მიღება-ჩაბარება არ არის გაფორმებული.

ბათუმის N14 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „ამბარმა“, ხარჯი გაწეულია 33,7 ათასი ლარი. დასრულებულია სააქტო დარბაზის რეაბილიტაცია.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „მშენებელთა ჯგუფმა“, ხარჯი გაწეულია 110,5 ათასი ლარი. დასრულებულია გათბობის სისტემისა და შენობის სახურავის რეაბილიტაცია. მიმდინარეობს ღია სპორტული მოედნის მოწყობა, თანხის ნაწილი გადარიცხულია ავანსად.

სულ საჯარო სკოლების 68 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე გაწეულია 410,3 ათასი ლარი, ხოლო ერთი პროექტი შედგენილი იქნა ქვეპროგრამის კოორდინატორის მიერ. კერძოდ, შესყიდულია 36 საჯარო სკოლის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია თანხით 271,4 ათასი ლარი, 12 პროექტის შესყიდვაზე ავანსის სახით გაწეულია 135,0 ათასი ლარი, პროექტების მოწოდება განხორციელდება 2020 წლის დასაწყისში. ასევე გაფორმებულია ხელშეკრულება თანხით 3,9 ათასი ლარი 20 საჯარო სკოლის ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვზე, თანხა გაცემულია ავანსად. პროექტები 2020 წლის პირველ კვარტალში მიღებულია.

გაწეულია აგრეთვე ქვეპროგრამის კოორდინატორის შრომის ანაზღაურებისა და სამივლინებო ხარჯები 31,7 ათასი ლარის ოდენობის, ხოლო ტექნიკურ ზედამხედველობაზე/ექსპერტიზე 109,8 ათასი ლარი და საავტორო ზედამხედველობაზე 2,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,6 %

ქვეპროგრამის - საჯარო სკოლების მატერიალური ბაზის გაუმჯობესება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 494,3 ათას ლარს, საკასო ხარჯი 492,9 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

შეძენილია 20 საჯარო სკოლისთვის მხატვრული ლიტერატურა, თანხით 88,9 ათასი ლარი.

10 საჯარო სკოლა უზრუნველყოფილია ფიზიკის ელექტრონული ლაბორატორით, თანხით 50,0 ათასი ლარი.

შეძენილია 5 საჯარო სკოლისათვის ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ლაბორატორიის კომპლექტი, თანხით 51,1 ათასი ლარი.

შეძენილია 15 საჯარო სკოლისთვის თანამედროვე ინვენტარი, თანხით 220,0 ათასი ლარი.

20 საჯარო სკოლა აღჭურვილია სპორტული ინვენტარით, თანხით 77,8 ათასი ლარი.

შეძენილია ბიბლიოთეკის ერთი რემოდელირების პროექტი, თანხით 5,1 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,7 %

პროგრამა - განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა მოიცავს ოთხ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - ვასწავლოთ მომავალი წარმატებისათვის საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 320,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 319,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მაღალმთიანი აჭარის (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებში არსებული სხვადასხვა საგნის მასწავლებლის დეფიციტის შესავსებად სულ დასაქმებულია 29 პედაგოგი, რომელთა შრომის ანაზღაურებაზე გაწეულია 261,3 ათასი ლარი.

დაფინანსდა 3 საზაფხულო სკოლა თანხით 36,5 ათასი ლარი. ასევე დაფინანსებულია 1 საჯარო ლექცია, თემაზე „ინკლუზიური პედაგოგიკა“ თანხით 1,4 ათასი ლარი.

ქვეროგრამის განხორციელების მხარდაჭერის ფარგლებში დაფინანსდა ღვაწლმოსილ პედაგოგთა წახალისება თანხით 19,8 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,7 %

ქვეპროგრამის - სტუდენტთა დახმარება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 957,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 950,4 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსდა სოციალურად დაუცველი, ობოლი, მრავალშვილიანი ოჯახისა და მაღალმთიანი რეგიონის 891 ბენეფიციარის სწავლება, რაზეც გაწეულია 943,1 ათასი ლარი.

71 წარჩინებული სტუდენტი წახალისდა ფასიანი საჩუქრით (ენერგო ბანკები, ყურსასმენები), რაზეც გაწეულია 7,3 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,3 %

ქვეპროგრამის - უმაღლესი განათლების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 215,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 208,7 ათასი ლარი.